

## სესხის (კრედიტის) ხელშეკრულება

ხელშეკრულების დადების თარიღი:

ხელშეკრულების ნომერი:

ქ. თბილისი

### 1. ხელშეკრულების მხარეები

1.1 გამსესხებელი	სს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მაიკრო ფინი"	1.7 მსესხებელი 1/კლიენტი 1	
1.2 მისამართი	ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. #154.	1.8 რეგისტრაციის მისამართი	
1.3 საიდენტიფიკაციო კოდი	405072040	1.9 ფაქტიური მისამართი	
1.4 ტელეფონი/ელ.ფოსტა	(032) 2555335/info@microfin.ge	1.10 პირადი ნომერი	
1.5 ხელმოწერი პირი		1.11 ტელეფონი/ელ.ფოსტა	
1.6 საბანკო რეკვიზიტები	ლიბერთი ბანკი GE51LB0114115813435000 საქართველოს ბანკი GE60BG0000000882739500		

1.12 მსესხებელი 2/კლიენტი 2	
1.13 რეგისტრაციის მისამართი	
1.14 ფაქტიური მისამართი	
1.15 პირადი ნომერი	
1.16 ტელეფონი/ელ.ფოსტა	

მხარეები აცხადებენ და თანხმდებიან მასზე, რომ წინამდებარე ხელშეკრულების პირველ მუხლში მითითებული მსესხებლები როგორც ერთობლივად ასევე ინდივიდუალურად მოიხსენიება როგორც „მსესხებელი“ ან „კლიენტი“.

### 2. სესხის ძირითადი პირობები

2.1 სესხის თანხა		2.3 სესხის მოქმედების ვადა	
2.2 სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი(საპროცენტო სარგებელი)		2.4 სესხის მომსახურების ვალუტა	
		2.5 საკომისიოების გამოკლებით დარჩენილი ერთ ტრანშად გასატანი თანხა	

### 3. ხელშეკრულების საგანი

3.1 წინამდებარე სესხის (კრედიტის) ხელშეკრულების (შემდგომში „ხელშეკრულების“) საფუძველზე სს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მაიკრო ფინი" (შემდგომში "გამსესხებელი" ან „კრედიტორი“) მსესხებელს/კლიენტს სასყიდლიანი სესხის (შემდგომში "სესხი" ან "კრედიტი"),სახით გადასცემს ამავე ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებულ თანხას, ხოლო თავის მხრივ კლიენტი იღებს ვალდებულებას ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ჯეროვნად და დროულად დააბრუნოს სესხის სახით აღებული თანხა.

გამსესხებელი: \_\_\_\_\_

მსესხებელი: \_\_\_\_\_

3.2 გამსესხებლის კრედიტის ძირითადი პირობები განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულებით და გამსესხებლის ინტერნეტ-გვერდზე [www.microfin.ge](http://www.microfin.ge) განთავსებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). წინამდებარე ხელშეკრულებასთან და სხვა რელევანტურ საკითხებთან დაკავშირებით კლიენტს შეუძლია მიიღოს უფასო კონსულტაცია გამსესხებლის ცხელ ხაზზე (ტელ.: (032) 2555335)

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, მსესხებელი გამსესხებელს აძლევს უპირობო თანხმობას და უფლებას, რომ ამ უკანასკნელმა:

3.3.1. გადაამოწმოს და მიიღოს ინფორმაცია კლიენტის პერსონალური მონაცემების შესახებ რომელიც აუცილებელია წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის, მათ შორის, მაგრამ არამარტო, ინფორმაცია კლიენტის პირადი ნომრის, სახელის, გვარის, იურიდიული მისამართის ან სხვა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების შესახებ, მესამე პირებისგან (მათ შორის სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსგან) კლიენტთან დამატებითი შეთანხმების გარეშე და შეცვალოს კლიენტის მონაცემები ამ ინფორმაციის საფუძველზე;

3.3.2 უფლებამოსილია კლიენტის შესახებ კრედიტორისხელთ არსებული როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური, საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტული ინფორმაცია შეაგროვოს/გადასცეს სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველო“-ს (შემდგომში: „**ბიურო**“), რის საფუძველზეც კლიენტი აღირიცხება ბიუროს მონაცემთა ბაზაში. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება კლიენტის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები);

3.3.3 გაეცნოს ბიუროს მონაცემთა ბაზაში აღრიცხულ ინფორმაციას კლიენტის შესახებ (მათ შორის, კლიენტის საკრედიტო ისტორიას).

3.3.4 კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში, კრედიტორივალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

3.3.5 გამსესხებელს უფლება აქვს შეტყობინებისთვის გამოიყენოს კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალება (მათ შორის ელექტრონული, ციფრული და ა.შ.).

3.3.6 კლიენტის ანალიზის მიზნით შესაბამისი პირებისაგან გამსესხებელმა შესაძლოა ნებისმიერ დროს მოითხოვოს ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია კლიენტის შესახებ (მათ შორის ინფორმაცია/დოკუმენტაცია სესხის მიზნობრიობის, კლიენტის საქმიანობის, კლიენტის პარტნიორებისა და სხვა დაკავშირებული პირების, მათ შორის სოლიდარული თავდებ(ებ)ის ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის, უზრუნველყოფის ობიექტების შესახებ).

#### 4. კლიენტის განცხადებები და გარანტიები

4.1 კლიენტი აცხადებს და იძლევა გარანტიას რომ:

4.1.1 აქვს ამ ხელშეკრულების დადებისა და შესრულებისათვის საჭირო უფლება-უნარიანობა და ქმედუნარიანობა;

4.1.2 ამ ხელშეკრულებას დებს თავისი საჭიროებისთვის, არ მოქმედებს სხვა (მესამე) პირის დავალებით და ამ ხელშეკრულებაში აღწერილი გარიგება არ არის კანონსაწინააღმდეგო ან საეჭვო.

4.1.3 ამ ხელშეკრულების დადებისას, იგი არ იმყოფება შეცდომის, მოტყუების, მის წინააღმდეგ გამოყენებული ძალადობის ან მუქარის გავლენის ქვეშ;

4.1.4 მიკროსაფინანსო ორგანიზაციისთვის მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია არის სრული და უტყუარი;

4.2. ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ დეტალურად იცნობს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ინტერნეტგვერდზე [www.microfin.ge](http://www.microfin.ge) განთავსებულ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებას და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას; (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

4.3. კლიენტი გამსესხებელს ათავისუფლებს ამ ხელშეკრულების 3.3. პუნქტის საფუძველზე მიღებული/გაცემული ინფორმაციის საიდუმლოების დაცვის ვალდებულებისგან და აცხადებს უარს ზემოხსენებულ მუხლში აღწერილი ინფორმაციის მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ გამჟღავნებით ან მესამე პირისთვის გადაცემით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე.

#### 5. სესხის დანიშნულება და გაცემის წესი

5.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული სესხის დანიშნულება განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულებაზე დანართის სახით თანდართული შეთანხმებით „სესხის მიზნობრიობის შესახებ“ კლიენტი არ არის უფლებამოსილი კრედიტი ან მისი ნაწილი გამოიყენოს სხვა მიზნებისათვის/დანიშნულებით გარდა ამ პუნქტით

გამსესხებელი: \_\_\_\_\_

მსესხებელი: \_\_\_\_\_

განსაზღვრული

მითითებული

მიზნებისა.

5.2 ამ ხელშეკრულების საფუძველზე მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ კლიენტზე გაცემული კრედიტის დაფარვის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების 2.3 პუნქტით.

5.3 გამსესხებლის მიერ მსესხებლისათვის სესხის თანხის გადაცემა მოხდება წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

### 6. სესხის დამატებითი პირობები

6.1 იმ შემთხვევაში თუ, კლიენტი წინამდებარე ხელშეკრულების გრაფიკით დადგენილ სესხის გადახდის თარიღს გადააცილებს ზედიზედ 10 კალენდარული დღის ვადით, გამსესხებელს უფლება აქვს:

6.1.1 კლიენტისთვის შეტყობინებით ცალმხრივად გაზარდოს საპროცენტო სარგებლის განაკვეთი მაქსიმუმ 10%-ით (ამ პირობის შეცვლა შესაძლებელია მხარეთა დამატებითი შეთანხმებით);

6.1.2 გამოიყენოს სანქციები, რომლებიც განისაზღვრება მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ, რაც არ გამოირიგებას მიკროსაფინანსო ორგანიზაციისთვის ამ ხელშეკრულების მე-14 მუხლით მინიჭებული უფლებების განხორციელებას.

### 7. საპროცენტო სარგებლის გადახდის წესი

7.1 საპროცენტო სარგებელი ერიცხება კლიენტის ფაქტობრივ დავალიანებას მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიმართ და იანგარიშება კრედიტით ფაქტობრივად სარგებლობის დღეების შესაბამისად 365 (სამას სამოცდახუთი) დღეზე გაანგარიშებით.

7.2 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის სასარგებლოდ გაცემული სესხის საპროცენტო სარგებლის განაკვეთი აღმოჩნდება უფრო დაბალი, ვიდრე საქართველოს საკრედიტო ბაზარზე არსებული საპროცენტო სარგებლის განაკვეთები ან/და გამსესხებლის საკრედიტო პროდუქტების ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ისე რომ კლიენტის სასარგებლოდ გაცემული სესხი შესაძლოა ზარალიანი აღმოჩნდეს გამსესხებლისათვის ან/და საფრთხე შეუქმნას გამსესხებლის ფინანსურ სტაბილურობას, გამსესხებელს უფლებამოსილი იქნება ცალმხრივად გაზარდოს საპროცენტო სარგებლის განაკვეთი ამის შესახებ კლიენტისთვის შეტყობინების გზით.

7.3 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი არ დაეთანხმება ამ ხელშეკრულების 7.2 პუნქტის საფუძველზე გამსესხებლის მიერ საპროცენტო განაკვეთის გაზრდას, იგი ვალდებული იქნება გამსესხებელს შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში სრულად დაფაროს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ მისთვის მიცემული ყველა სესხი/კრედიტი მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის და პირგასამტეხლოს თანხების (არსებობის შემთხვევაში) ჩათვლით. კლიენტის მიერ ამ ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში კლიენტი ვალდებული იქნება საპროცენტო სარგებელი გადაიხადოს გაზრდილი განაკვეთის მიხედვით.

### 8. ხარჯები, საკომისიოები და სანქციები (პირგასამტეხლოები)

8.1 კლიენტი ვალდებულია აანაზღაუროს ამ ხელშეკრულების დადებასთან, დამოწმებასთან (საჭიროების შემთხვევაში), რეგისტრაციასთან, შესრულებასთან და გაუქმებასთან დაკავშირებული ყველა და ნებისმიერი ხარჯი.

8.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში გამსესხებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს თითოეულ კლიენტს შემდეგი სახის საკომისიოების გადახდა:

8.2.1 საკომისიო სესხის დამტკიცებისთვის - სესხის თანხის %-ის ოდენობით; საკომისიო ბარათით თანხის გაცემისათვის: სესხის თანხის %-ის ოდენობით.

8.2.2. საკომისიო მსესხებლის შესახებ ბიუროდან ინფორმაციის მოპოვებისათვის - ლარის ოდენობით;

8.3 საკომისიო სესხის (კრედიტის) ვადაზე ადრე (წინსწრებით) დაფარვისთვის (განისაზღვრება ამ ხელშეკრულების 10.1 პუნქტის შესაბამისად. სესხის (კრედიტის) ნაწილის წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში საკომისიო დაერიცხება მოცემულ პერიოდში მსესხებლის მიერ გადასახდელ სესხის ძირ თანხას (მთლიანი სესხის წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში საკომისიო დაერიცხება გადახდის მომენტისთვის სესხის დარჩენილ ოდენობას);

8.4 ამ ხელშეკრულებით ნასკირი ვალდებულების ჯეროვნად, დროულად ან/და სრულფასოვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში თითოეული კლიენტი ვალდებული იქნება გადაუხადოს გამსესხებელს შემდეგი სახის პირგასამტეხლოები:

8.4.1 პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისთვის - რომელიც შედგება ყოველდღიური პირგასამტეხლოსგან და რომელსაც თითოეული კლიენტი გამსესხებელს უხდის კლიენტების მიერ ვალდებულების დარღვევის მომენტისთვის სესხის (კრედიტის) ვადაგადაცილებული თანხის 1.00%-ის ოდენობით ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების პირველი 10 დღის განმავლობაში (მაგრამ არაუმეტეს სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის დღიური 0,27%-ისა), ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ყოველი დღისთვის 0.1% ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების ყოველი დღისათვის.(მაგრამ არაუმეტეს სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის დღიური 0,27%-ისა),

გამსესხებელი: \_\_\_\_\_

მსესხებელი: \_\_\_\_\_

8.5 იმ შემთხვევაში თუ 14.6 პუნქტის შესაბამისად გამსესხებელმა კლიენტის დავალიანების თანხა (კრედიტის დარჩენილი თანხა, დარიცხული პროცენტი და პირგასამტეხლო) სამართავად გადასაცა ნებისმიერ მესამე პირს (მათ შორის საინკასო ბიუროს) ორგანიზაციას უფლება აქვს კლიენტს მოთხოვოს მესამე პირის (მათ შორის საინკასო ბიუროს) მომსახურების ღირებულების დაფარვისათვის გაწეული ხარჯი.

8.6 პირგასამტეხლოს დაკისრება მხარეთა უფლებაა და არც ერთ მხარეს არ აქვს ცალსახა ვალდებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში დააკისროს მეორე მხარეს პირგასამტეხლოს გადახდა. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო გადახდას დაექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარე, რომელსაც ექნება პირგასამტეხლოს გადახდის მოთხოვნის უფლება მეორე მხარეს მოსთხოვს პირგასამტეხლოს გადახდას. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს კლიენტს ძირითადი ვალდებულებ(ებ)ის შესრულების ან/და ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან.

## 9. თანხის გადახდა

9.1 კლიენტის მიერ სესხის (კრედიტის) დაფარვა მოხდება შემდეგი წესით: ა) კლიენტი წინამდებარე ხელშეკრულებით გადასახდელ თანხას(ებს) შეიტანს გამსესხებლის საბანკო ანგარიშზე (რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულების 1.6 პუნქტში); ბ) კლიენტი წინამდებარე ხელშეკრულებით გადასახდელ თანხას(ებს) გადაიხდის სწრაფი გადახდის აპარატის მეშვეობით.

9.2 კლიენტის მიერ კრედიტის დასაფარად გამსესხებლისთვის გადაცემული ან კლიენტის ანგარიშზე არსებული თანხით, პირველ რიგში დაიფარება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ პირგასამტეხლო სხვა ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის(ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ საკომისიოებთან დაკავშირებული დავალიანება, შემდეგ საპროცენტო სარგებელი და ბოლოს კრედიტის ძირითადი თანხა.

9.3 წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით კლიენტი გამსესხებელს უფლებას ანიჭებს:

9.3.1 ცალმხრივად შეცვალოს ამ ხელშეკრულების 9.1 პუნქტში მოცემული წესი მსესხებლისთვის წინასწარ, მაგრამ სულ მცირე 7 (შვიდი) კალენდარული დღით ადრე შეტყობინების გაგზავნის გზით

9.3.2 თავად განსაზღვროს კლიენტის ვალდებულებების შესრულების რიგითობა (პრიორიტეტულობა).

9.3.3 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე გადახდის თარიღი დაემთხვა არასაბანკო დღეს, ამგვარი გადახდა უნდა განხორციელდეს მომდევნო საბანკო დღეს.

## 10. კრედიტის დაფარვა ვადაზე ადრე

10.1 კლიენტის მიერ სესხის ვადაზე ადრე დაფარვის (მათ შორის კრედიტის წინსწრებით სრულად ან ნაწილობრივ დაბრუნების ან/და რეფინანსირების) შემთხვევაში, კლიენტი გამსესხებელს გადაუხდის პირგასამტეხლოს წინსწრებით გადახდილი თანხის 0,5%-ს თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6-დან 12 თვემდე, წინსწრებით გადახდილი თანხის 1%-ს თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 12-24 თვემდე, წინსწრებით გადახდილი თანხის 2%-ს თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 24 თვეზე მეტი.

10.2 იმ შემთხვევაში თუ კლიენტი სესხის დაფარვის ვადის დადგომამდე ამ ხელშეკრულების 9.1. პუნქტით განსაზღვრული სესხის დაფარვის ერთ-ერთი საშუალებით მოახდენს ძირითადი თანხისა და მასზე დარიცხული პროცენტის, ასევე დარიცხული საურავების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ამ ხელშეკრულების 10.1. პუნქტში განსაზღვრული კრედიტის წინსწრებით დაფარვის საკომისიოს ჯამური თანხის სრულად შეტანას გამსესხებლის საბანკო ანგარიშზე, აღნიშნული, კლიენტის დამატებითი მითითების გარეშე გამსესხებელი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ, კლიენტის შემდგომი თანხმობისა თუ ნებართვის გარეშე, გამოიყენოს მის საბანკო ანგარიშზე შეტანილი თანხა კრედიტის წინსწრებით დაფარვის მიზნით.

10.3 იმ შემთხვევაში თუ კლიენტი სესხის დაფარვის ვადის დადგომამდე, ამ ხელშეკრულების 9.1. პუნქტით განსაზღვრული სესხის დაფარვის ერთ-ერთი საშუალებით მოახდენს ძირითადი თანხისა და მასზე დარიცხული პროცენტის, ასევე დარიცხული საურავების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ამ ხელშეკრულების 10.1. პუნქტში განსაზღვრული კრედიტის წინსწრებით დაფარვის საკომისიოს ჯამური თანხის სრულად შეტანას გამსესხებლის საბანკო ანგარიშზე, კლიენტი ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს გამსესხებელს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამსესხებელი იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას, რაც შესაძლებელია დაკავშირებული იყოს კლიენტის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულების 10.2 პუნქტით გათვალისწინებული მოქმედების შეუტყობინებლობასთან.

10.4 იმ შემთხვევაში თუ კლიენტის მიერ საბანკო ანგარიშზე შეტანილი თანხა სრულად არ ფარავს სესხის და მასზე დარიცხული პროცენტის, ასევე პირგასამტეხლოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სესხის წინსწრებით დაფარვის

გამსესხებელი: \_\_\_\_\_

მსესხებელი: \_\_\_\_\_

საკომისიოს თანხას, აღნიშნული არ ჩაითვლება კლიენტის მიერ სესხის წინსწრებით დაფარვად და სესხის ძირითად თანხაზე პროცენტის დარიცხვა გაგრძელდება ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

### 11. უზრუნველყოფა

11.1 სესხი შესაძლოა უზრუნველყოფილი იქნება მხოლოდ სოლიდარული თავდებობით. თავდებობის თანხის ლიმიტი განისაზღვრება შესაბამისი სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებით.

### 12. მსესხებლის მიერ თანხის არამართლზომიერი გადახარჯვა

12.1. მსესხებელი ვალდებულია სესხის გადახდის გრაფიკით გათვალისწინებული ყოველთვიურად შესატანი სესხის ძირითადი თანხისა და პროცენტის, ასევე პირგასამტეხლოს თანხის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდის ვალდებულების წარმოშობის შესაბამისი დღის (თვის შესაბამისი რიცხვის) ბოლომდე (00:00 საათამდე) გამსესხებლის მიერ მისთვის გახსნილ პლასტიკური ბარათის ანგარიშზე (შემდგომში „ბარათი“) იქონიოს სულ მცირე გრაფიკით გათვალისწინებული ყოველთვიურად შესატანი (ძირითადი სესხის და პროცენტის, ასევე არსებობის შემთხვევაში პირგასამტეხლოს თანხის ჯამი) თანხის ოდენობის თანხა (აღნიშნული გულისხმობს თანხის ანგარიშზე ფაქტობრივად არსებობას და არ იგულისხმება ის შემთხვევა, როდესაც ბარათზე თანხა მხოლოდ პროგრამულად ჩანს, თუმცა რეალურად ბარათზე თანხა არ არის განთავსებული/ან გატანილი/ ან მოხდა ანგარიშზე თანხის შეტანა, თუმცა გრაფიკით გათვალისწინებული ყოველთვიურად შესატანი სესხის ძირითადი თანხისა და პროცენტის, ასევე პირგასამტეხლოს თანხის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ბარათიდან ჩამოჭრამდე მოხდა მისი გატანა რასაც პროგრამა მოგვიანებით აღიქვამს).

12.2. მსესხებელი აცხადებს და ეთანხმება, რომ 12.1 პუნქტში მოცემული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ადგილი ექნება მსესხებლისათვის გახსნილ ბარათზე თანხის არამართლზომიერ გადახარჯვას იმ ოდენობით, რაც აუცილებელი იყო მსესხებლის მიერ გრაფიკის შესაბამისად შესატანი თანხის სრულად დასაფარად, თუმცა აღნიშნული თანხა ბარათზე ფაქტობრივად არ აღმოჩნდა, რის შედეგადაც ბარათზე არსებული თანხის ოდენობა განისაზღვრა უარყოფითი ნაშთის სახით. აღნიშნულ შემთხვევაში მსესხებლის მიერ არამართლზომიერად გადახარჯული თანხის ოდენობა (უარყოფითი ნაშთი) მიიჩნევა მსესხებლის მიერ გამსესხებლისგან დამატებითი სესხის აღებად და მასზე მოქმედებს წინამდებარე ხელშეკრულებითა გათვალისწინებული სესხის პირობები (საპროცენტო განაკვეთის, საკომისიოს და პირგასამტეხლოს ჩათვლით), რაზეც მსესხებელი წინასწარ აცხადებს მის თანხმობას.

### 13. სასესხო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის პირობები

13.1 გამსესხებელს უფლება ექნება შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება ან/და ვადაზე ადრე, დაუყოვნებლივ მოსთხოვოს კლიენტს კრედიტის ძირითადი თანხის დაბრუნება მასზე დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან და პირგასამტეხლოსთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იმ შემთხვევაში თუ დადგება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ნებისმიერი გარემოება:

13.1.1. კლიენტი დაარღვევს ამ ხელშეკრულებით ან გამსესხებელთან გაფორმებული ნებისმიერი დოკუმენტით ნაკისრ რომელიმე ვალდებულებას;

13.1.2 კლიენტი დაარღვევს ამ ხელშეკრულების 2.1 პუნქტის მიხედვით დადგენილ თანხის გადახდის ვალდებულებას;

13.1.3 კლიენტი არამიზნობრივად გამოიყენებს ხელშეკრულების საფუძველზე მიღებულ სესხს (დაარღვევს მიზნობრიობას);

13.1.4 გაუარესდება კლიენტის, მისი თავდების, ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების ნებისმიერი მხარის ან/და გარანტის ქონებრივი ან/და ფინანსური მდგომარეობა ან შეიქმნება ასეთი გარემოების დადგომის საფრთხე;

13.1.5 ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების მხარე ან მისი უფლებამონაცვლე დაარღვევს შესაბამისი ხელშეკრულების რომელიმე პირობას;

13.1.6 კლიენტის მიმართ დაიწყება სააღსრულებო წარმოება;

13.1.7 კლიენტის რომელიმე საბანკო ანგარიშს ან კლიენტის კუთვნილ ქონებას (ნებისმიერ ნივთს ან არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს) დაედება ყადაღა ან კლიენტის ან მისი ქონების მიმართ გამოყენებული იქნება სარჩელის, გადაწყვეტილების აღსრულების ან/და საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ნებისმიერი ღონისძიება;

13.1.8 კლიენტის, მისი თავდების, ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების ნებისმიერი მხარის ან/და გარანტის მიმართ დადგება ლიკვიდაციის ან გადახდის უუნაროდ გამოცხადების საფრთხე ან თუ ზემოთჩამოთვლილ პირობათაგან რომელიმე თავად მიიღებს გადაწყვეტილებას ლიკვიდაციის შესახებ;

გამსესხებელი: \_\_\_\_\_

მსესხებელი: \_\_\_\_\_

13.1.9 ნებისმიერი უფლებამოსილი ორგანო ჩამოართმევს კლიენტს ნებისმიერ აქტივს ან მის მნიშვნელოვან ნაწილს, ან მოახდენს ასეთი აქტივის ნაციონალიზაციას ან მოხდება სხვაგვარი ექსპროპრიაცია;

13.1.10 კლიენტის მიერ გაკეთებული ნებისმიერი განცხადება ან/და გამსესხებლისთვის მიწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია აღმოჩნდება მნიშვნელოვნად არასწორი ან მცდარი (სინამდვილესთან შეუსაბამო);

13.1.11 კლიენტი ჩაიდენს გამსესხებლის მოტყუებისკენ მიმართულ ნებისმიერ ქმედებას;

13.2 კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს გამსესხებელს ამ ხელშეკრულების 13.1.1-13.1.11 ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი ნებისმიერი გარემოების დადგომის შესახებ.

13.3 ამ ხელშეკრულების 13.1 პუნქტში აღწერილ შემთხვევაში (მიუხედავად კლიენტის ბრალეულობისა ამ ხელშეკრულების 13.1 პუნქტში ჩამოთვლილი ნებისმიერი გარემოების დადგომისას) კლიენტი ვალდებული იქნება დაუყოვნებლივ (ან გამსესხებლის მიერ მითითებულ ვადაში) დაუბრუნოს გამსესხებელს კრედიტის ძირითადი თანხა მასზე დარიცხულ სარგებელთან და პირგასამტეხლოსთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და შეასრულოს გამსესხებლის წინაშე ნაკისრი ყველა ფინანსური ვალდებულება.

13.4 ამ ხელშეკრულების 13.1 პუნქტში ჩამოთვლილი ნებისმიერი გარემოების დადგომის შემთხვევაში გამსესხებელს უფლება ექნება კლიენტის შემდგომი თანხმობის გარეშე (უაქცეპტოდ) გადაიყვანოს კლიენტი გამკაცრებული მონიტორინგის რეჟიმში.

#### 14. მხარეთა შორის კომუნიკაციის წესი

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერით, მხარეები ასევე თანხმდებიან, რომ:

14.1.1. ხელშეკრულებიდან მომდინარე და მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით ურთიერთობა, მათ შორის შეტყობინება ან/და სხვა სახის ოფიციალური კომუნიკაცია, მათ შორის, მაგრამ არამარტო კომუნიკაცია ერთმანეთს, მათსა და სასამართლოს, ან/და მათსა და საარბიტრაჟო დაწესებულებას შორის, წარმოებს წერილობით ან/და ელექტრონული ფოსტის (ელ. ფოსტის) საშუალებით, თუ ეს ხელშეკრულება, კონკრეტული შემთხვევებისთვის არ ადგენს კომუნიკაციის განსხვავებულ წესს.

14.1.2. მხარეთა შორის წერილობითი კომუნიკაციის დროს, ადრესატი მხარისათვის გზავნილი (წერილობითი შეტყობინება) შესაძლოა გაიგზავნოს გამგზავნი მხარის მიერ პირადად, კურიერის ან საფოსტო გზავნილის მეშვეობით. ასეთი გზავნილი ჩაბარებულად ითვლება ადრესატი მხარის მიერ გზავნილის ფაქტობრივად ჩაბარების მომენტში, რაზედაც შედგება შესაბამისი მიღება-ჩაბარების, ან შესაბამისი ფორმის საფოსტო აქტი. ამასთან, ადრესატის მიერ გზავნილის ჩაბარებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ამის მიზეზი აღინიშნება შესაბამისი აქტში, მაგრამ მიუხედავად ასეთი უარისა, გზავნილი ადრესატისთვის ჩაბარებულად ითვლება.

14.1.3. მხარეთა შორის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით კომუნიკაციის დროს, ადრესატი მხარისათვის გზავნილი ჩაბარებულად ითვლება შესაბამის ელექტრონული ფოსტის მისამართზე წერილის გაგზავნის დღესვე იმ პირობით, რომ გამგზავნს არ უბრუნდება ავტომატური შეტყობინება ელექტრონული გზავნილის განხორციელების შეუძლებლობის შესახებ. მხარეები აქვე აცხადებენ, რომ გამოიჩინენ მაქსიმალურ წინდახედულობას და პერიოდულად, მაგრამ მინიმუმ ორ კვირაში ერთხელ შეამოწმებენ მათი ელ. ფოსტის პროგრამას, მათო შორის, ე.წ „სპამის“ ფაილს („ფოლდერს“), რათა დარწმუნდნენ, რომ მათივე ინტერესების მიზნებისთვის, იცნობენ მათთვის ამ გზით ჩაბარებული ნებისმიერი კორესპონდენციის შინაარსს.

14.1.4. დამატებით, ადრესატი მხარისათვის ელ. ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი შეტყობინების ჩაბარების დასადასტურებლად, შესაძლოა გამოყენებულ იქნას შესაბამისი ტექნიკური საშუალების ამონაწერი ან/და შესაბამისი ტექნიკური საშუალებით მოწოდებული დადასტურება.

14.1.5. მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება, მათ შორის, მაგრამ არამარტო, ხელშეკრულებაზე უარის თქმის, ხელშეკრულების მოშლის, ხელშეკრულების შეწყვეტის, ვალდებულების შესრულების მოთხოვნის ან/და ვალდებულების შესრულებისათვის დამატებითი ვადის განსაზღვრის, აგრეთვე, საპროცენტო განაკვეთის გამსესხებლის მიერ ცალმხრივად გაზრდის შესახებ განხორციელებულად ჩაითვლება, წინამდებარე ხელშეკრულების პირველი მუხლის ცხრილში განსაზღვრულ ფაქტობრივი და ელ-ფოსტის მისამართზე ადრესატისთვის გზავნილის ამ ხელშეკრულების 14.1.2 და 14.1.3 ქვეპუნქტებით განსაზღვრული წესით ჩაბარების შემთხვევაში.

14.1.6. მხარეები აცხადებენ თანხმობას, რომ სასამართლომ ან არბიტრაჟმა (არბიტრმა) მათი სხდომაზე დაბარება, მათთვის უწყების ჩაბარება, სასამართლო ან საარბიტრაჟო საქმის წარმოების დოკუმენტაციების გადაცემა, გადაწყვეტილების (განჩინების) / გადახდის ბრძანების/ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ჩაბარება - შესაძლოა განახორციელოს წერილობით ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით, წინამდებარე ხელშეკრულების პირველი მუხლის ცხრილში განსაზღვრულ მისამართებზე.

გამსესხებელი: \_\_\_\_\_

მსესხებელი: \_\_\_\_\_

## 15. სხვა პირობები

15.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შევა მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და ძალაში დარჩება იქამდე სანამ სრულად და ჯეროვნად არ შესრულდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ძირითადი ვალდებულება.

15.2 კლიენტს არ აქვს ამ ხელშეკრულების მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის უფლება ამ ხელშეკრულებით და მის საფუძველზე გაფორმებული ყველა დოკუმენტით ნაკისრი უკლებლივ ყველა ვალდებულების მთლიანად შესრულებამდე.

15.3 იმ საკითხების მოწესრიგებისას, რომლებიც ამ ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

15.4 ამ ხელშეკრულებას ენიჭება უპირატესი ძალა მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით ადრე გაფორმებულ სხვა ხელშეკრულებებთან წინააღმდეგობის შემთხვევაში.

15.5 ამ ხელშეკრულების რომელიმე ნაწილის ბათილობა და/ან მოქმედების შეწყვეტა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას ან მოქმედების შეწყვეტას.

15.6 კლიენტს არ აქვს ამ ხელშეკრულებით ან/და ამ ხელშეკრულების საფუძველზე/ფარგლებში გაფორმებული ნებისმიერი დოკუმენტით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლების ან/და ვალდებულების მესამე პირისთვის გადაცემის უფლება გამსესხებლის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.7 ეს ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება გამსესხებელს, ხოლო ერთი გადაეცემა კლიენტს.

15.8 კრედიტორიუფლებამოსილია ცალმხრივად განახორციელოს ხელშეკრულებაში მოცემული პირობების ცვლილება. საპროცენტო განაკვეთის და/ან ხელშეკრულების სხვა პირობების ცვლილების შემთხვევაში მსესხებლის ინფორმირება მოხდება წერილობით ან/და ელექტრონული ფოსტით ან/და მოკლე ტექსტური შეტყობინებით ცვლილების განხორციელებამდე ერთი თვით ადრე.

15.9 მსესხებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია გამსესხებლის ელექტრონულ ფოსტაზე (ელ.ფოსტის მისამართზე: info@microfin.ge) პრეტენზიის წარდგენის გზით ან წერილობითი ფორმით გამსესხებლის ოფისში პრეტენზიის წარდგენით, გასასაჩივრებელი ფაქტის დადგომიდან არაუგვიანეს 5(ხუთი) სამუშაო დღისა. პრეტენზიის წარდგენის წესის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია გამსესხებლის ცხელი ხაზის მეშვეობით: ტელ: (032)2555335 გამსესხებელი პრეტენზიას განიხილავს მისი მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

## 16. დამატებითი პირობები

16.1 გამსესხებელი უფლებამოსილია ხელშეკრულების ცალმხრივად ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში პროცენტის დარიცხვა გააგრძელოს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის არსებულ სრულ დავალიანების თანხაზე, მაგრამ არაუმეტეს შეწყვეტის თარიღიდან 90(ოთხმოცდაათი) დღის განმავლობაში. ამასთან ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტიდან გამსესხებელი უფლებამოსილია დავალიანების თანხას დაარიცხოს მსესხებლის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით კრედიტორისთვის მიყენებული ზიანის თანხა - მიუღებელი შემოსავლის სახით, რომლის ოდენობაც, შესაბამის პერიოდში, უტოლდება ამ ხელშეკრულებით, ამავე პერიოდისთვის განსაზღვრულ საპროცენტო სარგებლის თანხობრივ ოდენობას.

16.2 გადახდა გრაფიკის მიხედვით ჩაითვლება დადგენილ ვადაში ჯეროვნად განხორციელებულად, თუ გადასახდელი თანხა მთელი მოცულობით (ყოველგვარი გამოქვითვების, მოსაკრებლების, საკომისიოების, ბაჟების და სხვა დაკავებების გარეშე) განთავსდება გამსესხებლის საბანკო ანგარიშზე (რომელიც მითითებულია რეკვიზიტების ნაწილში) და იქნება გამსესხებლისთვის ხელმისაწვდომი ხელშეკრულების გრაფიკის განსაზღვრული დაფარვის დღისათვის.

16.3 კლიენტის საკრედიტო ვალდებულება გამსესხებლის მიმართ უქმდება მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებით კლიენტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემთხვევაში ან გამსესხებლის უფლებამოსილი პირის მხრიდან წერილობითი ფორმით შედგენილი ვალის პატიების გზით. ცნობა საკრედიტო დავალიანების მდგომარეობის შესახებ არ ჩაითვლება ვალის პატიებად.

16.4 გამსესხებლის მხრიდან ხელშეკრულების ცალმხრივად ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში პირგასამტეხლოს დარიცხვა გრძელდება ვალდებულების სრულ შესრულებამდე და იგი გადახდას ექვემდებარება არსებული დავალიანების დაფარვის მიზნით იძულებითი, ან კლიენტის მიერ ნებაყოფლობითი აღსრულების მომენტისათვის გაანგარიშებული თანხით იმ შემთხვევაშიც, თუ გამსესხებელი ცალმხრივად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან/და არაჯეროვნად შესრულებისათვის მოითხოვს ხელშეკრულების შეწყვეტას, მაგრამ არაუმეტეს შეწყვეტის თარიღიდან 90 (ოთხმოცდაათი) დღისა. პირგასამტეხლოს გადახდა არ

გამსესხებელი: \_\_\_\_\_

მსესხებელი: \_\_\_\_\_

ათავისუფლებს მხარეებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან 16.5 წინამდებარე ხელშეკრულებით კლიენტი კისრულობს ვალდებულებას, აუნაზღაუროს გამსესხებელს ამ უკანასკნელის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებასთან და მასთან არსებული ყველა უზრუნველყოფის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები, მათ შორის კლიენტის, თავდების, სოლიდარული მოვალის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების, ასევე წილების, ფასიანი ქაღალდების მოძიების ხარჯები, ასევე კლიენტის, თავდების, სოლიდარული მოვალის საცხოვრებელი ადგილის ან/და იურიდიული მისამართის დადგენის ხარჯები. ასევე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ განცხადებასთან დაკავშირებული ხარჯები, ასევე დავის შემთხვევაში იურიდიული მომსახურების ხარჯები.

16.6 მხარეები თანხმდებიან, რომ გამსესხებლის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულების ვადამდე ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში ან/და კლიენტის მხრიდან დავალიანების თანხის (კრედიტის დარჩენილი თანხა, დარიცხული პროცენტი და პირგასამტეხლო,) დაფარვის ვალდებულების შესრულებლობის შემთხვევაში გამსესხებელი უფლებამოსილია დავალიანების თანხის მოთხოვნის უფლება დაუთმოს ნებისმიერ მესამე პირს (საინკასო ბიუროს) ან/და გადასცეს მესამე პირს (საინკასო ბიუროს) სამართავად. მხარეები თანხმდებიან, რომ გამსესხებელი უფლებამოსილია ერთპიროვნულად ცალმხრივად შეარჩიოს ნებისმიერი მესამე პირი დავალიანების თანხის გადახდევინების უზრუნველყოფის სამართავად და გასცეს მასზე ინფორმაცია კლიენტის შესახებ. გამსესხებლის მხრიდან დავალიანების თანხის გადახდევინების უზრუნველყოფის საინკასო ბიუროსათვის სამართავად გადაცემის შემთხვევაში კლიენტის მხრიდან დავალიანების თანხის დაფარვისას პირველ რიგში დაიფარება საინკასო ბიუროს მომსახურების ხარჯი, შემდგომ კრედიტის ძირითადი თანხა, შემდგომ პროცენტი, შემდგომ სასამართლო/საარბიტრაჟო ბაჟი, ბოლოს პირგასამტეხლო.

16.7 მხარეები თანხმდებიან, რომ მათ შორის წინამდებარე ხელშეკრულების ირგვლივ წამოჭრილი ის სადაო საკითხ(ებ)ი, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მხარეთა შორის სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, მათ შორის მხარეთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი დავა (დავები), მათ შორის ხელშეკრულების შესრულების, დარღვევის, შეწყვეტის, ან ბათილობის საკითხ(ებ)ი, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ინიციატივით განსახილველად და საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცემა არბიტრაჟს. მხარეები თანხმდებიან, რომ მხარეთა შორის დავას განიხილავს მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულება შ.პ.ს. “დავების განმხილველი ცენტრი” (მის: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #71, მე-4 ბლოკი, პირველი სართული; საიდენტიფიკაციო ნომერი: 204547348; ვებ-გვერდი: [www.drc-arbitration.ge](http://www.drc-arbitration.ge)) ანმისი უფლებამონაცვლე. მხარეები თანხმდებიან და ადგენენ საარბიტრაჟო წარმოების წესებს და პროცედურებს ქვემოთჩამოთვლილი პირობების (საარბიტრაჟო დათქმა-შეთანხმება) შესაბამისად. საარბიტრაჟო წარმოების წესები და

პროცედურები განისაზღვრება მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების დებულების შესაბამისად, თუ წინამდებარეშეთანხმებით სხვა წესები და პროცედურები არ არის განსაზღვრული ან წინამდებარე შეთანხმება არ ადგენს მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების დებულებისაგან განსხვავებულ ან/და დამატებით წესებს და პროცედურებს. ამასთან, გამოიყენება მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების დებულების ის რედაქცია, რომელიც მოქმედებს საარბიტრაჟო სარჩელის მიღების თარიღისათვის. მხარეები თანხმდებიან, რომ საარბიტრაჟო დავ(ებ)ის განხილვის ადგილი არის ქალაქი თბილისი, არბიტრაჟი დავას გადაწყვეტს საქართველოს კანონმდებლობით მოქმედი სამართლის ნორმების შესაბამისად და საარბიტრაჟო განხილვა წარმოებს ქართულ ენაზე. მხარეები თანხმდებიან, რომ მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულება დავას განიხილავს ერთი არბიტრის შემადგენლობით. მხარეები ასევე თანხმდებიან, რომ არბიტრის დანიშვნის უფლება გააჩნია თავად მუდმივმოქმედ საარბიტრაჟო დაწესებულებას, მისივე დებულების შესაბამისად, იმ პირობით, რომ დანიშნული არბიტრი სავალდებულოდ უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირი, 2 წლის გამოცდილებით საბანკო სფეროში. მხარეები თანხმდებიან, რომ თუ დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარს ან მის ექვივალენტს სხვა ვალუტაში საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. არბიტრაჟი დავას განიხილავს მხარეთა ზეპირი მოსმენის გარეშე (საარბიტრაჟო განხილვის ფორმა) მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების დებულების შესაბამისად. მხარეები თანხმდებიან, რომ საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე ან განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, მხარეს შეუძლია შუამდგომლობით მიმართოს მუდმივმოქმედ საარბიტრაჟო დაწესებულებას, ხოლო არბიტრაჟის ფორმირების შემდეგ – არბიტრაჟს, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ. მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების (ან არბიტრაჟის) მიერ გამოყენებულ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს აქვთ სავალდებულო ძალა და იგი უნდა აღსრულდეს არბიტრაჟის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. მხარეები თანხმდებიან, რომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება(ებ)ს აქვს (აქვთ) სავალდებულო იურიდიული ძალა მხარის

გამსესხებელი: \_\_\_\_\_ მსესხებელი: \_\_\_\_\_



მიერ მის ცნობისა და აღსრულებისათვის სასამართლოსათვის მიმართვის გარეშე. მხარეები თანხმდებიან, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი გამოტანის მომენტიდან და არ არის აუცილებელი შეიცავდეს სამოტივაციო ნაწილს.

16.8 მსესხებელი წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს სესხის (კრედიტის) თანხის მიღებას.

16.9. მსესხებელი ინფორმირებულია გამსესხებლის ვალდებულებაზე თავდებობის/სოლიდარული პასუხისმგებლობის ხელშეკრულების მონაწილე მხარისათვის, ასევე იპოთეკის და/ან გირავნობის საგნის მესაკუთრისათვის ხელმისაწვდომი გახადოს მსესხებელთან გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულების თავსართი და მოთხოვნის შემთხვევაში, ხელშეკრულების ასლები იმავე ფორმით, რა ფორმითაც გაფორმებულია მსესხებელთან, რაზეც აცხადებს უპირობო და გამოუთხოვად თანხმობას.

16.10. მსესხებელი კისრულობს ვალდებულებას, რომ მის მიერ ამ ხელშეკრულების პირველი მუხლის ცხრილში მითითებული ფაქტობრივი ან/და რეგისტრირებული ან ელექტრონული ფოსტის მისამართის ცვლილებისთანავე, დაუყოვნებლივ, წერილობითი ფორმით აცნობებს გამსესხებელს. იმ შემთხვევაში თუ მის მიერ არ მოხდება ამ ვალდებულების შესრულება, გამსესხებლის მიერ ამ ხელშეკრულებაში მითითებულ მსესხებლის მისამართზე შეტყობინების გაგზავნა ჩაბარებულად ჩაითვლება მისი გაგზავნის მომენტიდან.

იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტს სს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მაიკრო ფინი"-ში ამა თუ იმ ფორმით თანხის განთავსებას, გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოცემულ გაფრთხილების ტექსტს და გაითვალისწინოთ: სს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მაიკრო ფინი" (ს/ნ:405072040) არ არის ლიცენზირებული ბანკი და ბანკისგან განხვავებით მასზე ვრცელდება მსუბუქი ზედამხედველობის რეჟიმი. მისი გაკოტრების შემთხვევაში, თქვენ შესაძლოა ვერ დაიბრუნოთ თქვენი თანხა.

მხარეთა ხელმოწერები:

გამსესხებელი: \_\_\_\_\_

მსესხებელი: \_\_\_\_\_